http://kancelaria.cloud.gov.ge/nomfileserver/GetFile?file_id=2541..

საქართველო

ჩხოროწყუს მუნიციპალიტეტის გამგეობა

KA000085402504317

*5000 საქართველო, ჩხოროწყუ, დ. აღმაშენებლის ქ. №1 ტელ: 5(99) 856 577 ელ.ფოსტა info.gamgeoba@gmail.com

№ 498-ს

12 / აპრილი / 2017 წ.

ბრძანება

ჩხოროწყუს მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული უძრავი ქონების არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირი „ჩხოროწყუს მუნიციპალიტეტის ფეხბურთის ცენტრისა და კომპლექსური სასპორტო სკოლის გაერთიანებისთვის“ უსასყიდლო უზუფრუქტის ფორმით სარგებლობაში გადაცემის შესახებ

საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსის“ 54-ე მუხლის პირველი ნაწილის ,,დ“ პუნქტის „დ.დ“ ქვეპუნქტის, 61-ე მუხლის მე-3 პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის, 122-ე მუხლის, საქართველოს სამოქალაქო კოდექსის, საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 52-ე მუხლის,„ჩხოროწყუს მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული უძრავი ქონების ჩხოროწყუს მუნიციპალიტეტის არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირებისათვის უსასყიდლო უზუფრუქტის ფორმით სარგებლობაში გადაცემის შესახებ ჩხოროწყუს მუნიციპალიტეტის გამგებლისთვის თანხმობის მიცემის თაობაზე” ჩხოროწყუს მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2017 წლის 3 აპრილის №15 განკარგულებისა და „ჩხოროწყუს მუნიციპალიტეტის მიერ დაფუძნებული არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირების რეორგანიზაციისა (შერწყმა) და არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირების დაფუძნების შესახებ“ ჩხოროწყუს მუნიციპალიტეტის გამგებლის 2017 წლის 11 იანვრის №10–ს ბრძანების შესაბამისად **ვბრძანებ:**

1 .გადაეცეს არასამეწარმეო (არაკომერციულ) იურიდიულ პირს „ჩხოროწყუს მუნიციპალიტეტის ფეხბურთის ცენტრისა და კომპლექსურ სასპორტო სკოლის გაერთიანებას“ (საიდენტიფიკაციო ნომერი: 442262757) უსასყიდლო უზუფრუქტის ფორმით უვადო სარგებლობაში ჩხოროწყუს მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული უძრავი ქონება–ჩხოროწყუს მუნიციპალიტეტის დაბა ჩხოროწყუში, ცანავას ქუჩაზე მდებარე 22021.00 კვ.მ. არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთი და მასზე განთავსებული შენობა-ნაგებობა N1, განაშენიანების ფართით -244.36 კვ.მ. (მიწის (უძრავი ქონების) საკადასტრო კოდი №46.02.43.033).

2. ბრძანება ამოქმედდეს ხელმოწერისთანავე.

3. ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს მისი საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით გაცნობიდან ერთი თვის ვადაში ზუგდიდის რაიონულ სასამართლოში (მის: ქ. ზუგდიდი, გრ. ქობალიას ქ. №12).

გამგებელი

დათო გოგუა